დანართი #2: ბაზარი და ფასი - ნაწილი 1

საქონლისა და მომსახურების ბარათები

საქონელი

ვაშლი	ფეხსაცმელი
ველოსიპედი	წიგნი
ტელეფონი	ტანსაცმელი
ზურგჩანთა	ფანქარი
სათამაშო	კომპიუტერი

საქონლისა და მომსახურების ბარათები

საქონელი	მომსახურება
სკამი	თმის შეჭრა
შოკოლადი	მანქანის შეკეთება
ბოთლი	სწავლება
სათვალე	ძიძობა
ტელევიზორი	დასუფთავება

ფინედუ

საქონლისა და მომსახურების ბარათები

მომსახურება

ექიმის კონსულტაცია	კერძის მომზადება
ავტობუსით მგზავრობა	ტაქსით მგზავრობა
ამანათის მიტანა	ცეკვის წრე
ტექნიკის შეკეთება	იურისტის კონსულტაცია
ფეხბურთის წრე	მანქანის რეცხვა

გუნდი C

მიმწოდებლები და მომხმარებლები

საქონელსა და მომსახურებას ჩვენთვის **მიმწოდებლები** ქმნიან. მაღაზიის გამყიდველი, დურგალი, ექიმი, მზარეული - ყველა მათგანი მიმწოდებელია. გამყიდველი გვაწვდის პროდუქტს, დურგალი გვიმზადებს ხის ავეჯს, ექიმი გვიწევს სამედიცინო დახმარებას, მზარეული აცხობს შოკოლადის ტორტს და ა.შ. ის ადამიანები კი, რომლებიც ამ საქონელს ან მომსახურებას ყიდულობენ,

მომხმარებლები არიან. სიტყვა „მომხმარებელი“ მიგვითითებს თავის შინაარსზე - მომხმარებელი მოიხმარს სხვადასხვა ნივთსა თუ მომსახურებას - დადის ექიმთან, მგზავრობს ავტობუსით, ყიდულობს ტორტს და ა.შ. ყველა ჩვენგანი მომხმარებელია - გაიხსენე, რომელი საქონელი ან მომსახურება იყიდე ბოლოს?

გუნდი B

ბაზარი

სივრცეს, სადაც მომხმარებლები და მიმწოდებლები საქონელსა და მომსახურებას ცვლიან, **ბაზარი** ეწოდება. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ ნამდვილ ბაზარში მივიდეთ იმისთვის, რომ შევიძინოთ ჩვენთვის სასურველი ნივთი ან მომსახურება. ტერმინი **ბაზრის** ქვეშ მოიაზრება ყველა ადგილი, სადაც ფულის ნაცვლად ნივთს ან მომსახურებას ვიღებთ - კაფე, აეროპორტი, სადგური, წიგნებისა თუ ელექტრონიკის მაღაზია, ინტერნეტმაღაზია, სადაც ონლაინ ვვაჭრობთ და ხილ-ბოსტნეულის ნამდვილი ბაზარიც!

მომხმარებლები და მიმწოდებლები კი **ბაზრის მონაწილეები** არიან.

ფინედუ

გუნდი D

მოთხოვნა

მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსი განსაზღვრავს იმას, თუ რა **ფასი** ექნება ამა თუ იმ ნივთსა თუ მომსახურებას.

მოთხოვნა არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის შეძენაც სურთ და შეუძლიათ მომხმარებლებს. ბაზარზე მოთხოვნის რაოდენობას მომხმარებლები განსაზღვრავენ: როდესაც რაიმე საქონლის ან მომსახურების შეძენა ბევრ ადამიანს სურს, ვამბობთ, რომ მასზე მოთხოვნა მაღალია. მაგალითად, თუ ძალიან ბევრი ადამიანი სვამს ვაშლის წვენს, ხოლო ბანანის წვენს - ძალიან ცოტა, მაშინ ვიტყვით, რომ ვაშლის წვენზე მოთხოვნა მაღალია, ხოლო ბანანის წვენზე - დაბალი.

გუნდი A

მიწოდება

მიწოდება არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც ხელმისაწავდომია მომხმარებლებისთვის, ანუ რომელსაც ამზადებენ და ყიდიან მიმწოდებლები. თუ რაიმე ნივთი ან მომსახურება დიდი რაოდენობით არის ხელმისაწვდომი, მაშინ ვამბობთ, რომ მიწოდება მაღალია.
ბაზარზე მიწოდების რაოდენობას მიმწოდებლები განსაზღვრავენ - მაგალითად, წვენების კომპანია თვითონ წყვეტს, თვეში 10,000 ბოთლი წვენი დაამზადოს თუ 8,000 (ანუ მიწოდება იყოს 10,000 თუ 8,000?). ამ გადაწყვეტილებას კომპანია მომხმარებელთა მოთხოვნის მიხედვით იღებს. მაგ, თუ მიმწოდებლებმა იციან, რომ უფრო მეტი ადამიანი სვამს ვაშლის წვენს, ვიდრე ფორთოხლის წვენს, ეს ნიშნავს რომ მოთხოვნა ვაშლის წვენზე მაღალია, ხოლო ფორთოხლის წვენზე - დაბალი. შესაბამისად, მიმწოდებლები უფრო მეტ ვაშლის წვენს დაამზადებენ თვეში, ვიდრე ფორთოხლის წვენს.

ბარათები ჯგუფებად დანაწილებისთვის

A	B	C	D
A	B	C	D
A	B	C	D
A	B	C	D
A	B	C	D
A	B	C	D
A	B	C	D